ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
სხდომის ოქმი №4

დაბა ქედა, **23.12.2021 წელი**

სხდომა დაიწყო 16:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 17:10 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
ოთარ ხარაძე - კომისიის წევრი;
ირაკლი მახარაძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი რომან დავითაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
ქედის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უფროსი - ჯემალ ტაკიძე;
საკრებულოს წევრები: არჩილ გორგილაძე (საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე), მერაბ ნაკაშიძე (საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე), ვაჟა აბულაძე (საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე), ლევან ვერძაძე (ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარე), მზია ბოლქვაძე (ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე), მარინა ბარამიძე (ფრაქცია ,,ქართული ოცნება"-ს თავმჯდომარის მოადგილე), დავით სირაბიძე (ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე), ირაკლი მახარაძე (ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარის მოადგილე), შორენა კარანაძე (საკრებულოს წევრი) და მინდია არძენაძე (საკრებულოს წევრი).;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში - ნონა ბერიძე;
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში - ლაშა ბერიძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

23.12.2021 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	რომან დავითაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	ოთარ ხარაძე	კომისიის წევრი	
7	ირაკლი მახარაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1.„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

მოისმინეს: „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტი.

კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ მომხსენებელს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს, ჯემალ ტაკიძეს სთხოვა წარმოედგინა ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი. მომხსენებელმა დამსწრეთ მოახსენა რომ 10 ნოემბერს შემოვიდა მერიიდან 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირვანდელი პროექტი, რომელიც 25 ნოებერს წინა მოწვევის საკრებულომ შენიშვნებით დაუბრუნა მერიას, 10 დეკემბერს კი საკრებულოში გადმოიგზავნა აღნიშნული ბიუჯეტის კორექტირებული ვერსია. ჯემალ ტაკიძემ კომისიის წევრებს გააცნო 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის (შემოსული დოკუმენტი: №12-952134411; 10.12.2021 წელი) კორექტირებული ვერსია. საკითხის წარმოდგენის შემდგომ კომისიის წევრებსა და სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრებს მიეცათ შეკითხვების დასმისა და აზრის გამოთქმის საშუალება.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრმა (ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე) ირაკლი მახარაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს სარაგბო კლუბ ,,ფირალებთან“ დაკავშირებით, მისი თქმით აღნიშნულ კლუბს თავიანთი საქმიანობის განხორციელებისათვის ადმინისტრაციული შენობაც არ გააჩნია და რაიმე ფართის გამოყოფაზე ხომ არ იყო ამ ეტაპისათვის საუბარი. აქვე იკითხა თუ რატომ ვერ ხერხდებოდა რაგბის მოედნის მოწყობა და ამ წლის ბიუჯეტში რომ ჩადებულიყო პრობლემა რაში მდგომარეობდა?

რაზედაც ჯემალ ტაკიძემ უპასუხა, რომ კლუბ ,,ფირალებს“ არ ჰქონდა ადმინისტრაციული შენობა, თუმცა ამ ეტაპზე საუბარია მათთვის მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (ამჟამად სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის რაიონული განყოფილების ორი კაბინეტი) არსებული ფართის გამოყოფა. რაც შეეხება, რაგბის მოედნის მოწყობას, მომხსენებლის თქმით, პრობლემა მდგომარეობდა სათანადო ფართის გამონახვაში, რადგან მოედანის განთავსებისათვის საკმაო ფართი იყო საჭირო. ჯემალ ტაკიძემ კითხვის დამსმელს განუცხადა მზაობა, რომ თუ შეძლებდნენ მოედნისათვის სათანადო ადგილის გამონახვას/შეთავაზებას მერია ფინანსურ რესურს აუცილებლად გამოყოფდა და ყოველმხრივად უზრუნველყოფდა პროექტს.

აქვე დაუსვა კითხვა მომხსენებელს კომისიის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა (ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარე) დავით სირაბიძემ თუ სად გადიოდა წვრთნებს მორაგბეები ამ ეტაპამდე.

მომხსენებლის თქმით, რაგბისტები წვრთნებს ბათუმის მოედანზე გადიოდნენ.

კითხვა დასვა კომისიის წევრმა ირაკლი მახარაძემ: ,,გაცნობებთ, რომ სოფელ ვარჯანისში მცხოვრები ჯემალ დიასამიძე, მეწყერ საშიშ ზონაში ცხოვრობს. აღნიშნულის გამო ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი პროგრამით უზრუნველყო ქირის გადახდა აღნიშნული პირის ოჯახისათვის, თუმცა პრობლემა რაშია განვმარტავ, ოჯახი კვლავ აგრძელებს იმ სახლში დარჩენას. როგორც ჩემთვის ცნობილია არსებობს ამ საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა, რის საფუძველზეც მათი იქ ცხოვრება არცერთი წუთით არ შეიძლება. ფაქტიურად ამ ეტაპისათვის მათ საფრთხე ემუქრებათ, რადგან მეწყერი ისეთი რამაა, არავინ არ იცის დღისით, მზისით თუ რა პერიოდში მოხდება. ამიტომ მე მაქვს კითხვა, თუ რატომ არ აკონტროლებთ აღნიშნულ სიტუაციას. პიროვნებას ქირის ფულს უხდით და არ ხართ ინფორმირებული ცხოვრობს იქ თუ არ ცხოვრობს, მაინტერესებს რატომ არაა სათანადო კონტროლი. სავალალო შედეგი რომ დადგეს რა პასუხი გაქვთ? არ ფიქრობთ, რომ თქვენი წილი პასუხიმგებლობა იქნება ეს? პირადად მე ჩემს წილ პასუხისმგებლობადაც ჩავთვალე ეს საკითხი აქამდე რომ მომეტანა და მომეკითხა. საკრებულოს ამჟამინდელი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძე, მერის წარმომადგენელი იყო წონიარისის ადმინისტრაციულ ერთეულში და ეს ოჯახი და ეს ფაქტი მისთვის კარგად ცნობილიც იქნება. მაინტერესებს რა პროცედურები განხორციელდა აღნიშნულ ფაქტზე".

ამირან წულუკიძის თქმით, აღნიშნულ პიროვნებასთან არაერთხელ მოხდა ზეპირსიტყვიერი გაფრთხილება, მრავალჯერ ეთხოვა საცხოვრებელი ფართის დატოვებაც, განემარტა საფრთხეც თუ რამდენად დიდი რისკია იქ ცხოვრება. ამასთანავე მერიის შესაბამისი სამსახურის მიერაც იქნა წერილის მომზადება და გაგზავნა, რომელი პირადად ამირან წულუკიძის მიერ იქნა აღნიშულ მოქალაქესთან მიტანილი. ეს პიროვნება აცხადებდა, რომ წამდვილად ცხოვრობდა ნაქირავებ სახლში, მხოლოდ კარგი ამინდისას გადადიოდა თავის კუთვნილ სახლში, ,,სახლზე გადახედვის" მიზნით. ამიტომ მერიის მოქმედების ფარგლებში სხვა ვერაფრის განხორციელება მოხდებოდა, ერთადერთი ძალად გამოყვანის გარდა, რასაც კანონით მერია ვერ ახორციელებს.

ირაკლი მახარაძე დაზუსტებით ამბობდა, რომ მოქალქე ჯემალ დიასამიძის უარყოფა იყო სიცრუე, რადგან ეს პიროვნება ნაქირავებ სახლში არ ცხოვრობდა და დღემდე თავის კუთვნილ სახლში აგრძელებს ცხოვრებას მცირეწლოვნებთან ერთად. ,,ოჯახი სოციალურად დაუცველია, ფინანსურად უჭირთ, ამიტომ შიდა მოლაპარაკებას აქვს ადგილი და აღნიშნულ ქირის თანხას თვითონ იღებს. ეს სალაპარაკოდაც არ ღირს, უმუშევრები არიან და მართლაც უჭირთ, თუმცა აღნიშნულ თანხად, ის რისკი და საფრთხე რაც ემუქრება ოჯახს არ ღირს".

საკითხზე ყურადღება გაამახვილა კომისიის წევრმა (საკრებულოს თავმჯდომარე) ამირან ცინცაძემ და სხდომის თავმჯდომარეს, რომელიც ამავდროულად ამ თემის მაჟორიტარია, სთხოვა კონტროლზე აეყვანა ეს საკითხი და ემოქმედა კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებით, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად და როგორმე მოეხერხებინათ პრობლემის მოგვარება. აქვე იკითხა ამირან ცინცაძემ ქირავნობა რა დრომდე უნდა გაგრძელებოდა და შემდეგ ამ პიროვნების მიმართ რა პროგრამა უნდა განხორციელებულიყო.

კომისიის თავმჯდომარე ამირან წულუკიძემ განაცხადა, რომ აღნიშნულ პრობლემას მიაქცევდა სათანადო ყურადღებას და მერიის შესაბამის სამსახურთან ერთადაც განიხილავდა საკითხს. რაც შეეხებოდა ქირავნობის ვადას, ეს პიროვნება ექვემდებარება განსახლებას იმ

ტერიტორიიდან, ამიტომ ვიდრე საცხოვრებელი ფართით არ დაკმაყოფილდებოდა იმ დრომდე მერია უზრუნველყოფდა ქირის გადახდას.

მომხსენებელს შეკითხვით მიმართა კომისიის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა (ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"-ს თავმჯდომარე) დავით სირაბიძემ, თუ რა ეტაპზე იყო ამჟამად, გასული წლის მონაწილეობითი ბიუჯეტით გამარჯვებული პროექტები და ნაპირსამაგრ ნაგებობის მოწყობაზე გამოყოფილი 500 000 ლარი წინასწარ გაწერილ პროექტზე იხარჯებოდა თუ შემოსული განცხადებით განსაზღვრულზე?

ჯემალ ტაკიძის თქმით, 70%-ზე მეტი ამ პროექტებისა შესრულებულია. დარჩენილია მხოლოდ ისეთი პროექტები, რომელთა ფასებში ცვლილება მოხვდა ფასების გაძვირების გამო, რადგან პროექტების ღირებულება მაშინ დათვლილი თანხით ამ ეტაპზე ვერ ხორციელდებოდა, ამიტომ დარჩენილ პროექტებზე 2022 წელს გამოცხადდებოდა ტენდერი ხელახლა დათვლილი თანხით (ფასთა ცვლილების გათვალისწინებით). რაც შეეხებოდა მეორე კითხვას მომხსენებელმა განუმარტა, რომ თანხა მეწყერ საწინააღმდეგო პროექტებზეა გაწერილი, როგორც ფერდ სამაგრი სამუშაოები. რომელთაგანაც 85% მიღებული განცხადებებით არის დაპროექტებული, ხოლო 15% გაუთვალისწინებელი შემთხვევებისათვის იქნება გამოყენებული. აქვე ითხოვა დავით სირაბიძემ მომავალი წლისათვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დეტალურ ჩამონათვალზე ინფორმაცია.

რაზედაც ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ჯემალ ტაკიძემ უპასუხა, რომ შეუძლიათ ნებისმიერ დროს გამოითხოვონ მერიის შესაბამის სამსახურს და აღნიშული ინფორმაციის დეტალურ ჩამონათვალს მიაწოდებდნენ.

მომხსენებელს სოფელ პირველ მაისის სოციალურ ბინებზე შეკითხვა დაუსვა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრმა მინდია არძენაძემ და სთხოვა დეტალური ინფორმაციის მიწოდება, თუ რა ეტაპზე იყო აღნიშნული ბინების გადაცემის პროცესი და რა მიზეზით მოხდა გადაცემის შეფერხება. მისი თქმით, ზამთრის პერიოდიდან გამომდინარე რთულია ამ პირთა ცხოვრება ისევ იმ საცხოვრებელ სახლებში, რაც მათთვის საფრთხის შემცველია და სწორედ ამის გამო ეძლეოდათ ეს ბინებიც, რომ მეწყერ საშიშ ზონაში ცხოვრობდნენ და მოსალოდნელი საფრთხეს არიდებოდნენ და ჩვენი ინფორმაციით დღემდე არ გადასცემიათ ბინები საკუთრებში.

მომხსენებლის თქმით, რა ინფორმაციასაც ფლობდა ამ ეტაპისთვის იყო ის, რომ კომისიის ბოლოს სხდომა შედგა უკვე, განისაზღვრა ბენეფიციარებიც. პროცედურულად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უნდა გადაეცეს ჯერ ეს ბინები, კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული ბენეფიციარების სიაც ეგზავნებათ და შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ უნდა გადასცეს ეს ბინები კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ პირებს სიმბოლურ ფასად (ერთ ლარად). აღნიშნულ საკითხზე კომისიის წევრმა (საკრებულოს თავმჯდომარე) ამირან ცინცაძემაც უპასუხა და კითხვის დამსმელს განუმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის მერთანაც ჰქონდათ საუბარი ამის თაობაზე. მისი ინფორმაციით, კომისიის ბოლო სხდომაც ჩატარებულია, ვისაც ეძლევა ბინა იმ პირთა სიაც მიღებული აქვს კომისიას, მაგრამ მისი თქმით შეფერხების ერთადერთი მიზეზი არის ის, რომ აღნიშნულ პირებს გარკვეული დოკუმენტები აქვთ წარსადგენი, რომელიც ზოგიერთს ჯერ არ წარუდგენიათ. თუმცა დიდი დრო აღარ დასჭირდება, რადგან

მისი ინფორმაციით ახლომახლო პერიოდში მოხდება ამ სოციალური ბინების გადაცემა სოფელ აგარის მცხოვრებლებისათვის.

კომისიისა და დამსწრე საკრებულოს წევრებს საკითხის მიმართ სხვა შენიშვნები აღარ გამოუთქვამთ.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი საკრებულოს სხდომაზე გატანის მიზნით წარმოდგენილი პროექტით კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 5

წინააღმდეგი: 1 (ირაკლი მახარაძე)

გადაწყვიტეს:

1.მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტის დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე;

2. საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 17:10 სთ-ზე დახურულად გამოაცხადა და მადლობა გადაუხადა დამსწრეთ.

კომისიის თავმჯდომარე **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:

საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში **ნონა ბერიძე**